ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნი კვლევითი საქმიანობის ორგანიზების, შეფასებისა და დაფინანსების წესი

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 38-კ
თარიღი: 27.12.2017
ბოლო ცვლილება: რექტორის ბრძანებით N 19-ა
თარიღი: 24.12.2024

შინაარსი:

სათაური 1 შესავალი 2

სათაური 2 სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები 2

სათაური 3 სამეცნიერო საქმიანობის სახეები 3

სათაური 4 სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის სისტემა 4

სათაური 5 სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება 5

სათაური 6 სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების დაფინანსება 5

სათაური 7კვლევითი საქმიანობის შეფასება 6

სათაური 8 აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლა 7

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის კვლევითი საქმიანობის ორგანიზების, შეფასებისა და დაფინანსების წესი

შესავალი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი (შემდგომში აუს) ახორციელებს უმაღლესი განათლების I საფეხურის (საბაკალავრო) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს. მიუხედავად ამისა, კვლევითი საქმიანობის განვითარება და ხელშეწყობა მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სტრატეგიული განვითარების გეგმაში. აუს-ი მიზნად ისახავს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ხარისხის გაუმჯობესებას, პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, ამასთან, ზრუნავს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც მისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტია აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი). აკადემიურმა პერსონალმა ასევე უნდა იზრუნოს კვლევით დაინტერესებული სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვაზე.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მხარდაჭერა და წახალისება;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხის, კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და ანალიზი;
- კვლევის შედეგების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში;
- შეფასების შედეგების გამოყენება აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
- კვლევების ინტერნაციონალიზაცია;
- ახალგაზრდა კადრების ჩართვა კვლევაში;
- წარჩინებული სტუდენტების ჩართვა კვლევით ღონისძიებებში;
- კვლევითი ინიციატივების ღია კონკურსის წესით შერჩევა/დაფინანსება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის განვითარება;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის განვითარება;
- სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება;
- კვლევით დაინტერესებული და კვლევითი პოტენციალის მქონე სტუდენტების გამოვლენა და მათი მხარდაჭერა;
- საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია;
- კვლევითი საქმიანობით საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის შეტანა;
- კვლევით საქმიანობაში ურთიერთთანამშრომლობის განვითარება.

სამეცნიერო საქმიანობის სახეები

განსაზღვრული სამეცნიერო საქმიანობის სახეებია:

- აუს-ის მიერ იდენტიფიცირებულ პრიორიტეტული მიმართულებით კვლევაზე მუშაობა;
- სახელმძღვანელოს მომზადება;
- მონოგრაფიის მომზადება;
- სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სხვ. თარგმნა;
- სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება (მ.შ. სასწავლებლის რეფერირებად ჟურნალში; საერთაშორისო ჟურნალში; რეფერირებად ჟურნალში; იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში და სხვა);
- სტატიის გამოქვეყნება კონფერენციის, სემინარის მასალათა კრებულში;
- სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება;
- მოხსენება სამეცნიერო კონფერენციასა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებაზე;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა/დასწრება;
- სტუდენტთა კონფერენციის ორგანიზება;
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში ჩართვის ხელშეწყობა/ნაშრომის ხელმძღვანელობა;
- სარეცენზიო საქმიანობა;
- საგრანტო პროექტში მონაწილეობა;
- სარედაქციო საბჭოს წევრობა/რედაქტორობა.

სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის სისტემა

სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის სისტემა მოიცავს კვლევების მხარდამჭერ სტრუქტურულ ერთეულებს და კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას, მ. შ. შიდა საგრანტო დაფინანსებას.

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ამასთან, კვლევის მხარდაჭერას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

კვლევების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, აუს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

- ორგანიზებას უწევს კვლევით აქტივობებს (კონფერენციებს, სემინარებს, სხვ.);
- აფინანსებს სასწავლებლის ყოველწლიური სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის გამოცემას;
- შეიმუშავებს სასწავლებლის საგრანტო დაფინანსების პროცედურებსა და წესს;
- აფინანსებს სხვადასხვა სახის კვლევით აქტივობებს;
- აფასებს სასწავლებლის აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას;
- უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას შესაბამისი მექანიზმების შემუშავებით;
- ახორციელებს აკადემიური პერსონალის მხარდაჭრას - პერსონალისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების შესახებ ინფორმაციის გაცნობას და ამ საკითებთან მიმართებაში ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარებას;
- თანამშრომკობს ეკონომიკურ აგენტებთან;
- ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას;
- ამყარებს ურთიერთობას ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- უზრუნველყოფს სასწავლებლის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში ჩართულობასა და აკადემიური პერსონალის შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობას;
- ზრუნავს მისი სახელით გამოქვეყნებული კვლევების/ გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე.

სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება

აკადემიური პერსონალი, დამოუკიდებლად, ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს. პრიორიტეტული მიმართულება კვლევებისთვის განისაზღვრება სასწავლებელში არსებული ყველა საგანმანათლებლო მიმართულებისთვის. შესაძლოა, განხორციელდეს ინტერდისციპლინური კვლევები კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სასწავლებლის პრიორიტეტული მიმართულებები მტკიცდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით. აუს არ ზღუდავს მას განახორციელოს ამ თემატიკისაგან დამატებითი კვლევითი აქტივობები.

გარდა კვლევითი პრიორიტეტების მიხედვით კვლევის განხორციელებისა, აკადემიური პერსონალი, ერთვება სხვადასხვა კვლევით აქტივობებში (კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა, სტუდენტთა კონფერენციის ორგანიზება და სხვ.) რაც განისაზღვრება მისი ინდივიდუალური დატვირთვის სქემით.

სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების დაფინანსება

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის, ყოველწლიურად ადგენს ბიუჯეტს და განსაზღვრავს დაფინანსების პროცედურებს.

კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია:

- კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი დაფინანსება;
- შიდა გრანტი;
- გარე დაფინანსება.

აუს ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო კონკურსს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მიზნით. საგრანტო პროექტს კოორდინირებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საგრანტო განაცხადების შეფასების მიზნით, იქმნება საგრანტო კომისია, რომელშიც შედის სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი და მოწვეული წევრები (როგორც სასწავლებლისაკადემიური პერსონალი, ასევე გარე ექსპერტები). საგრანტო კომისიის წევრთა შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ინფორმაცია საჯაროა და ქვეყნდება სასწავლებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საგრანტო კონკურსის გამოცხადებისას.

საგრანტო კომისია აფასებს საგრანტო განაცხადს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (აქტუალობა, მიზანი, მნიშვნელობია, შედეგების გამოყენების შესაძლებლობა და სხვა), დეტალური ინფორმაცია *იხ. დანართი 2.*

უპირატესობა ენიჭებათ საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრმლობითა და სტუდენტთა ჩართულობით განხორციელებულ პროექტებს. საგრანტო პირობები საჯაროა და მტკიცდება რექტორის ბრძანებით, საგრანტო კონკუსის გამოცხადებისას.

კვლევითი საქმიანობის შეფასება

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შევსებული ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით. შეფასებას ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან კოორდინირებით. შეფასების შედეგების განხილვაში ასევე მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც და უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ, გასცეს რეკომენდაციები. შეფასების შედეგები ეცნობება აკადემიურ საბჭოს.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- პუბლიკაციათა საერთო რაოდენობა (მათ შორის, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და სხვ.); მათ შორის:
    - პუბლიკაციათა რაოდენობა საერთაშორისო ჟურნალში;
    - პუბლიკაციათა რაოდენობა იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალში;
    - პუბლიკაციათა რაოდენობა რეფერირებად ჟურნალში;
    - პუბლიკაციათა რაოდენობა საერთაშორისო თანამშრომლობით;
    - მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, ვორქშოპებში;მოპოვებული გრანტები (ადგილობრივი/საერთაშორისო).

აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის შეფასების გარდა, სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევით სამსახური აფასებს სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევით აქტივობას მთლიანობაში და შეფასების შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

შენიშვნა: დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 3; დანართი 4.

აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლა

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი მიზნად ისახავს, მისი სახელით და მისი პერსონალის მიერ განხორციელებული ყველა კვლევა იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

პლაგიატის საწინააღმდეგო სისტემა ინტეგრირებულია აკადემიური საქმიანობის ყველა დონეზე. პლაგიატზე შემოწმებას გადის ყველა სამეცნიერო ნაშრომი, სასწავლებლის ბაზაზე შექმნილი/თარგმნილი ნებისმიერი ლიტერატურა. ამ მიზნით

შემუშავებულია პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები.

დანართი 1

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის საგრანტო განაცხადის ფორმა

პროექტის სახელწოდება	
პროექტის ტიპი	(სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის გამოცემა, სახელმძღვანელოს თარგმნა, კონფერენციაზე მივლინება და სხვ.)
მიმართულება	
პროექტის ხანგრძლივობა	
პროექტის ბიუჯეტი	
თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის წარმდგენი (სახელი, გვარი, თანამდებობა)	
პროექტის სხვა მონაწილეები (არსებობის შემთხვევაში)	

პროექტის მოკლე აღწერა

აღწერეთ პროექტის კონცეფცია, მიზანი, მნიშვნელობა, აქტუალობა, მისი ფორმატი, შედეგის მნიშვნელობა და პრაქტიკული გამოყენება სასწავლებლისა და ფართო საზოგადოებისთვის.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, თან დაურთეთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

დანართი 2

კვლევითი განაცხადის/პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
თემის აქტუალობა	
მიზნები და ამოცანები	
შედეგების გამოყენების შესაძლებლობა	
საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა	
თემატიკის პრიორიტეტულობა	
ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან	
სტუდენტების ჩართვის შესაძლებლობა	
საბოლოო შეფასება	(მაქსიმუმ 35 ქულა)

2. სამეცნიერო მივლინების დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
თემის აქტუალობა	
მიზნები და ამოცანები	
მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა	
თემატიკის პრიორიტეტულობა	
მოთხოვნილი ბიუჯეტის შესაბამისობა მიზნებსა და შედეგებთან	
საბოლოო შეფასება	(მაქსიმუმ 25 ქულა)

3. კონფერენციის ორგანიზების ხარჯების დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	შეფასება (0-5 ქულა)
თემის აქტუალობა	
მიზნები და ამოცანები	
პრაქტიკული ღირებულება	
შედეგების დისემინაციის შესაძლებლობები	
თემატიკის პრიორიტეტულობა	
მოთხოვნილი ბიუჯეტის შესაბამისობა მიზნებსა და შედეგებთან	
საბოლოო შეფასება	(მაქსიმუმ 30 ქულა)

შენიშვნა:*შესაძლებელია შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირება, ცალკეული კრიტერიუმების შემუშავება განსხვავებული ტიპის კვლევითი პროექტებისათვის. შეფასების კრიტერიუმები გამოქვეყნდება საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთანავე.*

პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინდიკატორები

დანართი 3

პუბლიკაციათა საერთო რაოდენობა	რაოდენობა	ქულა
სასწავლებლის ჟურნალში		10
ადგილობრივ არარეფერირებად ჟურნალში		5
ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალში		7
საერთაშორისო არარეფერირებად ჟურნალში		8
საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში		10
იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში		15
საერთაშორისო თანამშრომლობით გამოქვეყნებული ნაშრომი არარეფერირებად ჟურნალში		10

საერთაშორისო თანამშრომლობით გამოქვეყნებული ნაშრომი რეფერირებად ან/და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში		15
სახელმძღვანელო		30
სახელმძღვანელო თანამშრომლობით (ადგილობრივი/საერთაშორისო)		25/40
სამეცნიერო თარგმანი		15
მონოგრაფია		20
მოხსენება კონფერენციაზე (ადგილობრივი/საერთაშორისო)		10/15
კონფერენციაში მონაწილეობა (ადგილობრივი/საერთაშორისო)		5/7
სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება (ადგილობრივი/საერთაშორისო)		20/25
სტუდენტთა კონფერენციის ორგანიზება		15
სტუდენტთა ხელმძღვანელობა სამეცნიერო კონფერენციაში (ადგილობრივი/საერთაშორისო)		5/10
სარედაქციო/საორგანიზაციო საბჭოს/კომიტეტის წევრობა		15
სემინარსა და ვორქშოპში მონაწილეობა (ადგილობრივი/საერთაშორისო)		5/10
მოპოვებული გრანტი (ადგილობრივი/საერთაშორისო)		30/40
სარეცენზიო საქმიანობა		10

აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით, ზემოაღნიშნული ინდიკატორები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასებისთვის და გაუმჯობესებისთვის. პერსონალი, რომელიც შეასრულებს თითოეული ინდიკატორის 1 ერთეულის შესრულების შესაბამისი ჯამური ქულის 30%-ზე ნაკლებს, მიეცემა შესაბამისი რეკომენდაცია მომდევნო წლისთვის, ხოლო

იმ პერსონალისთვის, რომელიც შეასრულებს 50%-ს და მეტს, გამოიყენება წახალისების მექანიზმები.

ფაკულტეტის წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

დანართი 4

აქტივობა		რაოდენობა
პუბლიკაციათა საერთო რაოდენობა, მ. შ.:		სულა
სასწავლებლის მიერ გამოცემულ ჟურნალში		
ადგილობრივ არარეფერირებად ჟურნალში		
ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალში		
საერთაშორისო არარეფერირებად ჟურნალში		
საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში		
იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში		
საერთაშორისო თანამშრომლობით გამოქვეყნებული ნაშრომი არარეფერირებად ჟურნალში		
საერთაშორისო თანამშრომლობით გამოქვეყნებული ნაშრომი რეფერირებად ან/და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში		
სახელმძღვანელოს მომზადება		
სახელმძღვანელო თანამშრომლობით (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
სამეცნიერო თარგმანი		
მონოგრაფია		
კონფერენციაში მოხსენების გაკეთება (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
კონფერენციაში მონაწილეობა (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
სტუდენტთა კონფერენციის ორგანიზება		

სტუდენტთა ხელმძღვანელობა სამეცნიერო კონფერენციაში (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
სარედაქციო საბჭოს წევრობა		
სემინარსა და ვორქშოპში მონაწილეობა (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
მოპოვებული გრანტი (ადგილობრივი/საერთაშორისო)		
სარეცენზიო საქმიანობა		

გამოკვეთილი ტენდენციები:

ძლიერი მხარეები:

გასაუმჯობესებელი მხარეები:

სამომავლო გეგმა:

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი:

_____

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრსი: